№ 135
ივნისის 24, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 135
ივნისის 24, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ხუთშაბათს, 26 ივნისს, გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი გენერალ-მაიორის თავადის

## არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა და შემდეგ პანაშვიდი დანიშნულია დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

(1—159—1)

20-ს ამა ივნისს, სოფელს ლაჯანაში (ლეჩხუმის მაზრა) გარდაიცვალა

## თავ. ლევან გოჯასპირის ძე გელოვანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა კნ. **დესპინე გრიგოლ შერვაშიძის ასული** და შვილები **კონსტანტინე, პლატონ და ვარლამ გელოვანები** და სთხოვენ მობრძანდნენ 25 ამა ივნისს განსვენებულის დაკრძალვაზე სოფ. ახალ-ჭალის საგვარეულო სასაფლაოზე.

(2—6—1)

**უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში** აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში.

(25—6.—22)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს მე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის მუსხელაშვილისა

(გედევანიშვილისეული)

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

**ნ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

**ზრ. ვ. ხოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

**მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.**

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ვ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ვ. ს. ლევი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისი

✦ დიდი ხანია ბათუმის ქართველმა საზოგადოებამ განიზრახა ახალის მართლმადიდებლთა ეკლესიის აგება და კიდეც შეუდგა საქმეს; მაგრამ ხელმოკლეობისა გამო, საზოგადოებამ ვერ მოახერხა ეკლესიის დამთავრება. ეხლა, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, გულ-უხვობითა და ხელგაშლილობით ცნობილნი სტეფანე და პეტრე ზუბალაშვილები დაჰპირებიან ბათუმის საზოგადოებას ჩვენ დაგეხმარებით მართლმადიდებელთა ეკკლესიის აგებაშიო.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის კათოლიკეთს ყოვლად წმ. ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესიაში სომხურსა და ქალდეურს ენებზე სრულდება წირვა-ლოცვა, და აქაურის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოზის თანამდებობას ასრულებდა მღვდელი ტერ-გაბრიელ ნახაპეტიანცი; ამ მამა ნახაპეტიანცს არ მოსწონებია მამა მიქელ თამარაშვილის ფრიად საყურადღებო საისტორიო წიგნი ქართველ კათოლიკეთა შესახებ და განუზრახავს მის წინაამდეგ საბუთები შეჰკრიბოს. განსაკუთრებით ამისათვის რომს წასულა, რომ იქაური წიგნთ-საცავი განიხილოს და საჭირო ცნობები გამოჰკრიბოს. მაგრამ რომს რომ მისულა, იქ მისი განზრახვა არ მოსწონებიათ. მამა ტერ-გაბრიელი, როგორც გვატყობინებენ, ვენეციაში წასულა მხითარისტების მონასტერში, და კავკასიაში აღარ დაბრუნდება.

✦ სამინისტროს ნება დაურთავს რუსეთის მეხილეთა საზოგადოებისათვის განყოფილება დააარსოს ტფილისში.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ჩვენში კარგად ცნობილს ვ. ლ. ველიჩკოს, რომელიც ერთხანად „კავკაზის“ რედაქტორად იყო, იჯარით აძლევენ გაზეთს „პეტერბურგის უწყებას,“ ხუთის წლის ვადით. ეს გაზეთი აქამომდე თ-დ ე. ე. უხტომსკის ჰქონდა იჯარით აღებული, და ჯერ იჯარის ვადა არ გასულა.

✦ ქართულის მუსიკის მცოდნეთა და მოყვარულთ შეუმუშავებიათ ქართულის საფილჰარმონიო (სამუსიკო) საზოგადოების წესდება და გუშინ ტფილისის გუბერნატორისათვის წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

✦ ტფილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი ი. ნ. სვეჩინი, როგორც წინადაც გვქონდა მოხსენებული, საზღვარ-გარედ აპირობს წასვლას ორის თვით და უმაღლესის მთავრობის მიერ ნება-რთვა მოსვლია.

✦ თელავის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი განსევიჩი სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა პოლკოვნიკის ჩინით.

✦ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე შტაბს-კაპიტანი ლევონტევი თელავის მაზრის უფროსად გამწესდა.

✦ საბოტანიკო ბაღის გამგეთათვის ახალი სახლი უნდა აშენდეს სოლოლაკის გორაკზე, ძველის ციხის გალავნის აქედ. საძირკველი გუშინ გასჭრეს, აკურთხეს და ჩაჰყარეს. კურთხევას სახელმწიფო ქონებათა უფროსი მოხელენი დაესწრნენ.

✦ თანხმად ქალაქის-მოურავის შუამდგომლობისა, სახელმწიფო ქონებათა უწყებას განუზრახავს ტფილისის სახაზინო ბაღი „მუშთეიდი“ ქალაქს გადასცეს იმ პირობით, რომ ქალაქმა გააუმჯობესოს და ჯეროვანად მოაწყოს ხალხის სასეირნოდ.

✦ კვირას, 22 ივნისს, გამოვიდა ცოტას ხანს შეჩერებული გაზეთი „კვალი“ № 21 წინანდელ რედაქტორ და გამომცემლის ხელმოწერით.

✦ რუსული სათეატრო დასი, ბ-ნ ვალენტინოვის მეთაურობით, რომელიც მოგზაურობს სხვა-და-სხვა ქალაქებში და წარმოდგენას მართავს, აჟამად ტფილისში არის და აქ 24 და 25 ივნისს სათავად-აზნაურო თეატრში ორს წარმოდგენას გამართავს. პირველ დღეს წარმოადგენენ მაქსიმ გორკის პიესას „ძსკერზე“ „На днѣ“.

✦ ქალაქის საავადმყოფოებში ამ ზაფხულს ავადმყოფებს შეუძლიანთ დილის რვა საათიდგან იარონ.

✦ ფუნიკულერის დამაარსებელი საზოგადოება ჯერ ვერ შესდგა. აქამომდე ჩაწერილა მხოლოდ 25 კაცი. თუ ათს ივლისამდე საზოგადოება არ შესდგა, მერე გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

✦ 21 ივნისს, ტფილისის პირველ თავშესაფარის გამგემ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ბევრი თავშესაფარში მყოფი ძალიან გაჭირვებულია, რადგან არა აქვთ არც საწოლი და არც სხვა რამეო. ზოგი ავადაც გამხდარა. ესენი ეხლა იატაკზე წვანან თურმე. გამგემ სთხოვა ქალაქის გამგეობას ან შეაკეთებინოს თავშესაფარი რიგიანად ან ავადმყოფნი სამშობლოში გაჰგზავნოს ქალაქმა თავის ხარჯით.

✦ 21 ივნისს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და წყლის მილის კომისიისა. კრებამ დაადგინა გადაიდოს მესამე საობლიგაციო სესხიდან, რომელსაც ქალაქი საყასბოს მოსაწყობად აიღებს, 215 ათასი მანეთი. აქედან 50 ათასი მანეთი უნდა მოხმარდეს მილის გაფართოვებას განაპირა უბნებში და 165 ათასი—ავჭალიდან მეორე მილის გამოყვანას და ფილტრების გაფართოვებას. კრებამ საჭიროდ სცნო სხვა ადგილის წყაროებიც გამოიკვლიონ იმის გასაგებად, შესაძლებელია თუ არა ახალის მილის გაყვანა.

✦ 21 ივნისს მოხდა შეერთებული კრება ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო და იმ კომისიისა, რომელსაც მუხრანის ხიდის საქმე აქვს ჩაბარებული. კომისიამ დაადგინა გადასდოს 2600 მანეთი; აქედან 800 მანეთი მოხმარდება მდინარის კალაპოტის გამოკვლევას იმ ადგილას, სადაც ხიდი უნდა გაკეთდეს, ხოლო დანარჩენით სამი პრემია იქმნება გამოცხადებული.

✦ ქალაქის მოურავმა დაავალა უფროსს ბაზარ-ვაჭრობის ზედამხედველს, შეჰკრიბოს ცნობები, რა ვნება და ზარალი მოჰყვა კვირანდელს საშინელს ნიაღვარს ქალაქში მცხოვრებთათვის.

✦ 20 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ქალაქისა და ენიკოლოფოვებისა, რომლებსაც იჯარით ჰქონდათ აღებული ქალაქის აფთიაქი და ხელშეკრულობა დაურღვევიათ. ქალაქი ედავებოდა 12,800 მანათს, სამის წლის იჯარის ფულს. სასამართლომ ქალაქის სარჩელი შეიწყნარა. ენიკოლოფოვებმა თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში სამის დღის განმავლობაში მიიღეთ თქვენის აფთიაქის მოწყობილებაო.

✦ კვირას, შუადღისას, ვერის მოედანზედ აკურთხეს ქალაქის ახალი საყასბო, რომელიც ლამაზად და შესაფერად არის მოწყობილი და ელექტრონით იქნება განათებული. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის მოურავი, საყასბოების გამგენი ხმოსნები და დიდ-ძალი ხალხი. საყასბოს გვერდით იმართება ბოსტნეულობისა და სხვა სანოვაგეთა დუქნები.

### კავკასიის სამეურნეო ფრინველთა გამოფენა ქუთაისში 1904 წ.

გაზეთ „ივერიაში“ საკმაოდ იყო გამორკვეული თუ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ფრინველებს, კვერცხებს და ბუმბულს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში.

საკმარისია მეურნემ ივარაუდოს კავკასიის ქალაქების მოთხოვნილება წვრილფეხისა და კვერცხებისა, შემოთვლილობა საზღვარ-გარეთლებისა: „გვიგზავნეთ ყოველ დღე მილიონი ფრინველი და კვერცხიო“, დაუმატოს ამ ვარაუდს სიმინდის ფასის დაკლება და ზოგი რამ სხვა, რათა დარწმუნდეს, რომ სამეურნეო ფრინველების რიგიანად გაშენება განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია.

პაწაწინა, გასვრილი და ლაყე კვერცხები, პატარა ქათმები მჭლე და მაგარ-ხორციანი, მრავალ გვარი ფრინველთა სენი, ცუდი მოვლა,—აი, უმთავრესნი ნაკლულევანებანი, რომელნიც სხვათა შორის, ხელს უშლიან ფრინველთა რიგიანს გაშენებას და ბაზარში გასაღებას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც დღითი-დღე მატულობს ფასი ფრინველსა, კვერცხსა და ბუმბულზედ და მალე ჩვენს ქალაქებში კვერცხებს და ქათმებს ისეთი ფასი ექნებათ, როგორც მოსკოვსა და პეტერბურგში. წვრილფეხი ისეთი საქონელია, რომელსაც არასოდეს არ დაეკარგება ბაზარი.

უკანასკნელ დროს ამერიკელები არაფერს არ ზოგვენ ფრინველების გაშენებისათვის. ქათამი ბალახს ასიგნაცად აქცევს, სილიდგან ვერცხლის ფულსა სჭრის და მარცვლიდგან—ოქროსაო, ამბობენ ამერიკელები.

ამიტომაც აუცილებლად საჭიროა ჩვენშიაც გავრცელდეს, რაც შეიძლება მალე წვრილფეხის რიგიანის მოვლისა და გაშენების ცოდნა, შემოვიღოთ საუკეთესო ჯიშის ფრინველები, შევისწავლოთ მათის სენის წამლობა, შევიძინოთ წიწილების ხელოვნურად გამოსაჩეკი მანქანა და ხელოვნური დედლები, ვიღონოთ რამ ჩარჩებ.ს თავიდგან ასაცილებლად, ვთხოვოთ მთავრობას, რომ კავკასიის რკინის გზებზედ შემოიღონ სპეციალური ვაგონები ფრინველების და კვერცხების გადასაზიდებლად, ვითხოვოთ ტარიფის დაკლება და გამოვიკვლიოთ საზოგადოდ ის მიზეზნი, რომელთა მოსპობა აუცილებლად საჭიროა ამ დარგის აყვავებისათვის.

ამ საგნის მისაღწევად ქუთაისის სამეურნეო ფრინველთა გამშენებელ საზოგადოებამ გადასწყვიტა: გამართოს ქუთაისში მომავალ 1904 წ. კავკასიის სამეურნეო ფრინველებთ გამოფენა. ამ გამოფენაში მონაწილეობაა მიიღებენ კავკასიის ყველა გუბერნიების და ოლქების ექსპონენტები: მიწვეულნი იქნებიან ექსპონენტები: კერძო მეურნენი, საზოგადოებანი და ფირმები რუსეთიდგან, რუსეთის სავაჭრო პალატა პარიჟიდგან და სხვა. მრავალ გვარი ჯილდოები ექნება საზოგადოებას დასარიგებლად. გამოფენაზედ იქნება აღებ-მიცემობა ფრინველებისა, კვერცხებისა და სხვ. გამართულ იქნება ლექციები, დემონსტრატიული კითხვები *).

დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა ვისაც ეინტერესება ამ მეურნეობის დარგის ბედი და ვისაც შეუძლიან, ყველა მონაწილეობას მიიღებს ამ პირველ გამოფენაში, როგორც ექსპონატებით, აგრეთვე რჩევით და დარიგებით.

ნ. მკურნალი.

### ინტელიგენტი ჩარჩი.

ქუთაისის მაზრის ერთ-ერთს სოფელში ფრინველი და აბრეშუმის პარკი არის თვალსაჩინო წყარო შემოსავლისა. აქ საწყობებია გამართული, სადაც ეზიდებიან პარკებს, კვერცხებს, ფრინველებს და ეს ორი დარგი მეურნეობისა ყოველ წლიწადს ატრიალებს რამდენსამე ათას მანეთს.

*) დაწვრილებითი პროგრამა თავის დროზედ იქნება გამოცხადებული გაზეთებში.

წელს აქ ოჯახი არ იყო, რომ აბრეშუმის ჭია არ ჰყოლოდა და, როდესაც პარკის შეგროვება დაიწყეს, გამოჩნდნენ ჩარჩებიც. მთელი სოფლის მოსავალი რომ ხელში ჩაეგდო და გაეყიდა სხვა ჩარჩისა, პირველად ჩამოსულმა ჩარჩმა გამოაცხადა: ფუთ პარკში მოგართმევთ ოც და ხუთ მანეთს, ოღონდ ჩემს წყალობას სხვისათვის ნუ მოჰყიდითო"... პატიოსანი რჩევა ქვეყანაში ... —ითქვა და გადაწყდა. გამოჩნდნენ მწარმოებლები მოაწყვეს პარკების ... ... მანეთ მაღლა დაჰყიდეს, რომელსაც გამოუცხადეს ახალი მაზანდა.

მგზავრი.

## ხალხის კალამ-ვატხონნი

ნაწყვეტი: ნამცემი „ანუ, ანუ!" ცხენს გადასწვდა. რაც ახლა აქვს, ... ... მაგრამ ... ... ... ... ... „ამ ... ... ... ... ... ... ...

ჩვენ არა ... ... ... 14 ივნისს „ივერია" და „ცნობის ფურცელი"...

ასეთი ... ... ... ... ...

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

სიცილი ხევსურთა ცხოვრებიდან.

„ამბის კითხვა", ანუ მიკითხვა.

თორღვა. ხელ მაპითხოთ ღმერთმა, წიქავ, გაგიმარჯოს!

წიქა. გაგიმარჯოს, შენაც ხელ მართის!

თორღვა. ხო არა გიჭირთ? რა ხელ გუნებაზე ბრძანდებით? კაცით საქონლით ხომ ყველა მშვიდობით ხართ?—ხო არა გაწყენსათ, გაჯავრებსათ? მიამბის მიაცაო (მეც) შენი მშვიდობა.

წიქა. ღმერთმა გაცოცხლას, ცოცხალნი ვორთ. კარგად ვორთ, შენის წყალობითაო. ჩვენ ამბავს რა კითხვა უნდ: გათენდი, დაღამდი [1]) სულებ გვიდგას შენის წყალობითაო.

თორღვა. კარგი, თუ მშვიდობით ხარ სიმთელეიაო საკითხავიო.

წიქა. მშვიდობა განებას (მოგანიჭოს) ღმერთმაო. თავოდ რას გუნებას ხართ: კაცით საქონით ხომ ყველა მშვიდობით ხართ? ან დიდს ან ბატარას ხო არა გიჭირთ-რა? ბერებს ხო არა უჭირთ, რაგორ არიან?

თორღვა. კარგათ ვორთ. დღესნამდი-კი მშვიდობით ვორთ, არაი გვიჭირსრაო. ბერებიც კარგად არიანო: ზამთარჩიგად [2]) ბერისად ავადობაიო ცივიო [3]). ჩვენს ამბავს რა კითხვა უნდ: გათენდი, დაღამდი, ვყრივორთ შენი წყალობითაო.

წიქა კარგი მშვიდობაია საკითხავი. არაფერიც არ გეჭირების მაგის მეტ. მტერ ნუ მოგერევისაო, დუშმან ნუ დაგელევისაო.

—

მიდოცვა ვაჟის ყოლის გამო.

მინდია. ღმერთმ გაგიხაროდასაო მაგის მონდავი (სწორი, ამხანაგი, ტოლი) კიდევ სხვა მაგცესო. ღმერთმა, როგორც გაჩენით გაგალაღაო, ისრ გაზდითაო, ისრ იაჲალის ატანითაო (აღებითაო). უკეთესად ვის უნდაო შენ რო გინდაო.

ვეფხვია. ღმერთმა გაცოცხლასო მადლობელი ვორო ჯერა ჩვე რა კა (კარგი) გვაყრიაო. მაკეებს [4]) რაღა კარგი დეეყრებაო.

—

მიდოცვა დაქორწინების გამო.

მანგია. აგაშენას ღმერთმ, სალხინო, სამშვიდობო, ნუ მაგიშალას.

აპარეკა. მამიხვედ მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მოსვლაიო!

მანგია. ღმერთმა კაზე [5]) მაგინდინოსა. ბედიანი დავლათიანი მაგიხდინოსა, თუ შეესწარი შვილების ქორწილობასაო, ახლა რო მოლკვდე შენი დავლათი ის არიო.

აპარეკა. აბა ბაილეო (როგორ არა!) ეხლა რო მავხკვდეო, ჩემ დაბადება იქნებაო.

—

ჩამოღვოცვა სმის დროს.

ზიმურა. ღმერთმ გადღეგრძელოს გამყოფას, აფშინავ, მანამ ცა და მზე ასაო (არისო). ხალხნო, (იქ მყოფთ) დღეგრძელობა ამ კაცს, თქვენ მშვიდობა. მე ვერა ვთქვი ღმერთმ ბძანასაო. მანამდი გადღეგრძელას, მანამდი ჭიანჭველა ქალაქჩი წავასო და იქით მარილის ქვას იყიდისაო და ციხის წვერზე აიღებსო. მანამდე გაცოცხლას, მანამდე ცას ნამ გასდისო, მიწას მწვანილიო. მანამდი პერანგის ზიდნა შაგიძლიანოა მანამდის გადღეგრძელოსაო, მანამდე თავის ჯალაფთ არ მასძულდები, მანამდე გადღეგრძელოსაო. მემრე კი, მახგკლასაო და შვილების ხელით დალგმარხასაო (სვამს). ღმერთმა აგაშენას! აი, დავლიეო, მე რა მაგაკელ, ღმერთ ის შაგისრულოს. სტუმარმ რაც მაგაკალო (იწერს პირჯვარს), აი ღმერთმა გიშველათ, ჯვარმაც [6]) გიშველასთაო.

—

„ჭირის წყენა"—ანუ სამძიმარი.

გაგა. გოგოთურო, ვერ გექნა ჩემ თავიო, [7]) მანამდე ეგეთს გნახემდიო.

გოგოთური. შენის მტრისაიო, დუშმნისაიო!

გაგა. დიდ ბრალ, დიდ ღმერთის წყენაი არასაო [8]), შენ ძმა დაგაკლდებოდასაო. ჩეკვად კაცი სიტყვას გეტყოდასო, მზეზე იარებოდასო! [9])

გოგოთური. ბრალი ისეთისაიო თქვენ დალკლებიათ თქვენ დაგითმავისთო, თორ ჩვენ სიკვდილი დასამალავიაო, მასალოციაო [10]). მოვსჩებითაო ე ბეჩაობასაო, შიმშილ წყურვილსაო, მზე დაგვცდებისაო, კაცთ სწორიო, კაის მაკეთის თავიო!

გაგა, ნეტავინა [11]) თქვენ გულ არ დაღონებულიყა, თორე სიბეჩავე არც არაჩი გეჭირების არც არაჩი გეკადრებისთაო. ხევსურთ ჯარსაო, ჯვარს დააკლდებითაო, ლაშქარსაო, მდევარსაო ბჭესაო [12]) ხევის ბერსაო, დობილ ძმობილსაო, ნადობ-ნაძმობასაო, ნაცნაურ-ნადაურსაო (ვინც უნდა), მამამან საბატონონ დაიხარჯებით (მოკვდებით), დედან სადედუფლონიო [13]) ღმერთმა იმას ნუ დაულიას ვისაც შენდ გეესვენებისაო (გეეხარდებაო).

გოგოთურ. ღმერთმა საწყენ ნურა მოგცეს რაო. საამურ ნუ დაგილიასაო. შენ იმედ ნუ მამიშალასა.

გაგა. ღმერთმა შენ გულ კაით გაკურნასაო, ნარჩომთა ჯვარ დაგწერასთაო.

გოგოთურ. მადლობელი ვორ ჩვენზე ბეჩავ ვინ მაკვდებაო. თქვენ რო თაკს დაიწყევთო, იმის ფასებ არ ვორთო.

—

რანაირი წიგნი გსურს ხევსურს.

გოგოთური. მასწავლებელო, რატო ის წიგნ არა სა?—დავით გურამიშვილიანი იმაშიგ ბევრი იმისთანა სწერია, რომელიც ჩვენთვის საჭიროია. იქ კარგად იყვ რო: ესრ დედაკაც ესრე გამოგადგებისაო; ემისთანა დედაკაცი კიდევ ესრე გამოგადგებისთო; ცხვრით ცხოვრება თუ გინდოდასთო, ესრე უნდო მაიქცათო; გუთნის ცხოვრება თუ გინდოდას, აი ესრ უნდო მოიქცათო, ურმის ცხოვრება თუ გინდოდასთ, აი ესრ უნდო მაიქცათო; ძროხით ცხოვრება თუ გინდოდას, აი ამ გვარად უნდო მაიქცათო... ბევრ იყო იმაჩი დარიგება, სრუ აღარ დამახსოვდა. იმაჩი იყო ლექს ხუცესზე აი ესრ:

ხუცესი უნდო მამაცი ჯაბან არ ვარგო ხდალიო,
ხუცესმა უნდო დამარხოს, სადაც რო იყო მკვდარიო,
ხუცესი იმას ვერ იტყვის, ვერ მივოლ, სარიდალიო.
ხუცესიც ბევრს რიგს დააკლებს თუ ბევრი ღვინო დალიო.

ხევსური საჩივარით თქაულთან.

კნიაზო, ქალაქჩიდ ვიყიდ წისქვილ [14]). იქით [15]) ურმით წამოვატანიე თვალივჩიით [16]); ქირაიდ ფულ მივე მეურმეს. მერე იქით ჯორაკაით მოვატაინ მა ორწყალამდინ. ორწყალშიით ჯორაკაით ვერ ამოვატაინე—მძიმე წისქვილ იყვ [17])—დაიღალეს, ულაყებ ველარ შასძლეს და ი გამიღმით დუქან რო ასა [18]) იქ გიოს [19]) მივაბარე; შიგაით ოთახში შაიტანა რაზა უდებდ ი სახლს ღამ-ღამ. წისქვილ შიგ იყვ გაწირულ. შიგ თავის ამეებს: ქერები, სვილები [20]), ღვინიანებ ტიკეებც იმაშიდ იყვ. ღამეც რაზავდეს, რაზას უდებდეს: როცა გედროებისაო მაშინ წაიღიდიო. არ დაიკარგების, აქით არავინ არ გამიტანსო, რაზას უდებთ ამასო. ქრისტე მარხვა რო მადიოდ მივედ გეოსად; გეო ვერ მოვხელე. დუქანჩი ღვნახე იოსები და არშაკაი და უთხარ: აქად გეოსად ჩაბარებულ მქონდ წისწქვილიო შაიღავ ოთახშიო ახლა თქვენ დასდეგით აქათ ი წისქვილ უნდა ვნახო მანდავ არაო, ი ქავ ის წისქვილიო, თუ არაო! აქ არაფერ არ იბადებისაო, მითხრიდეს, გეოს არაფერ არ გაუწირავს აქითაო. თუ არ გჯერამ მაიცა, გიოც აქ მავიდესო, ჩვენ გავმტყუნდებით, თუ გიო გამტყუნდებისაო ერთ უცთან მოვილაპარაკოთო ჩვენ დ გიო ერთ უცთან მოვილაპარაკებთო, რომელ მტყუან იქნების, რომელ მართალიო, რომელმ გავყიდეთ წისქვილიო, ერთ უცს რომელ გავტეხთაო, მაშინ შენც იყურიდიო. მოორედ კიდენ ჩაველ ორწყალშიით, ისებ და არშაკ არ იყვნეს დამხვდ მარტო გეო. გეომ მითხრ მანდ: იყო ისრევ გიორგობისთვეში, იოსებსა და არშაკს ჩავაბარეო ის წისქვილიცაო ის ოთახიცაო. მე თელავში ვიყავ ამ ზამთრობითაო. მაიცა მოვიდნენ იოსები და არშაკი და შენც ხო ღნახამ ვინ გამატყუილდებაო. ეხლა კნიაზო, გეო იოსები და არშაკი ერთუცთან ველარ შეჩიყრიან. რომელმ მოიპარა ის ველარ გავიგი. აბა მე როგორ დავსტეხ მა სომხის შვილებს თუ სამართალმა არ დასტეხ. ხომ იცი, კნიაზო, გეო სომეხ ასა მაგას არა ენარჩუნება).

დ. პავლიაშვილი.

[1]) სხვა კარგი არა გვაყრია მარტო გათენებას და დაღამებას მოველით.

[2]) ზამთარში.

[3]) ვითომ სიცივე ბერისათვის ავადმყოფობა არისო.

[4]) ვითომ დაბადებულს.

[5]) კარგზე.

[6]) ხევსურეთის ხატმა.

[7]) ვითომ რატომ მე, ჩემს თავს არ შეემთხვა ეგ საქმეო.

[8]) ღმერთისაც საწყენია და ქვეყნისთვისაც.

[9]) ჩემნაირი საწყალი კაცი გისამძიმრებს, მზეზე დადის ვითომ ცოცხალიაო.

10) საქმე ის არის, რომ თქვენი მკვდარი დაგითრიათ, თორემ ჩვენი მიცვალებულის სიკვდილი დასამალავია, მოსალოცია.

11) ნეტავ.

12) ხევსურულ სამართალს.

14) ვითომ თქვენი დედაკაცი რო დედუფლობის ღირსია მამაკაცები-კი ბატონობისა.

14) წისქვილის ქვები.

15) იქიდან.

16) სოფელია.

17) ადგილი, რომელიც საზღვრავს ხევსურებს ფშაველებისაგან.

18) ორწყლიდან.

19) იყო.

20) არის.

ფილიუთ, მაგრამ კრამიტით-კი იქნებოდა გადახურული და მაგ-და თეთრ იატაკ-ჭერებით შემკული!

ვანის საზოგადოებას უკვე დამტკიცებულ განაჩენზე უარი უთქვამს პირველ ივნისს მაზრის უფროსის თანაშემწისათვის და შვიდს ივნისს-კი თითონ ბ-ნ მაზრის უფროსისათვის, რომლის საპატიოდ უნდა ითქვას, რომ, შეუგნია-რა ხალხის გულის ტკივილი, ზოგიერთ ვაჟბატონებით ძალად მაცხონეობის გზას როდი დასდგომია, მშვიდობიანად განშორებია ხალხს. ამ საყურადღებო ფაქტს კორესპონდენტი ასე აგვიწერს: „პირველ ივნისს ამ საქმის შესახებ მობრძანდა ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწე, მოიწვია საზოგადოება, უჩვენა მათ მიერ შედგენილი განაჩენი შენობის აგების შესახებ, სადაც ეწერა, ავაგოთ ქვის შენობაო და ჰკითხა: „ეს განაჩენი ხომ თქვენ შეადგინეთო"... ხალხმა, თითქმის ორ წილზე მეტმა დაიძახა: „არა, არაო, ეგ განაჩენი არ არის კანონიერი, რადგან ჩვენთვის არ უკითხნიათ—ქვის შენობა უნდაუოთვილიყო, თუ ხისაო; ჩვენ არ ვიცით, რაზედ მოგვაწერინა ხელი მამასახლისმაო".

„მაზრის უფროსის თანაშემწემ,—განაგრძობს კორესპონდენტი,—ეს ყოველივე მოახსენა ქუთაისში მაზრის უფროსს, რომელიც შვიდს ამა ივნისის თვეს მობრძანდა ვანში, მოიწვია საზოგადოება და გამოუცხადა: „რადგან თქვენ 320 მანეთი, ხაზინის მიერ დანიშნული წლიურად ვერ მოიხმარეთ, შენობას არ აკეთებთ, განაჩენი შეგიდგენიათ და ყალბათ სთვლით, ყოველსავე უწესოებას სცდილობთ და მამასახლისიც გინდათ გასვაროთო, ამის გამო თქვენი შედგენილი განაჩენი ორ-კლასიან სასწავლებლის შესახებ გაუქმებულ იქმნებაო" და სხ. კორესპონდენტი დასძენს, რომ ეს გამოცხადება ხალხში ბევრს ძლიერ ეწყინათ და ბევრმა მაზრის უფროსს მადლობა გადაუხადა და შინისკენ გზას გაუდგაო.

აგრეთვე გუბის მცხოვრებლებმა, რომელთაც საქალებო სკოლის მზრუნველმა სასკოლო სახლისათვის 1500 მანეთის გამოღების განაჩენი მოსთხოვა, თვით სკოლაზედ განაცხადეს უარი, ისე ებძვრათ სკოლისათვისა ამოდენის ფულის გამოღება. მართლაც ამ სოფელს ერთ-კლასიან სავაჟო სკოლის სახლი სულ 400—500 მანეთზედ მეტი არ დასჯდომია. ამავე სოფელს ნათხოვარი აქვს ორ-კლასიანი სავაჟო სასწავლებელი, რომლისთვისაც დასჭირდება კიდევ სახლის აგება.

განა გაძლოდა არ უნდა ამდენ ხარჯებს? რა მართებს ამ შემთხვევაში სოფლის ხელმძღვანელებს? განა კომფორტს და ძვირფას ქვიტკირის შენობათა აგებას უნდა გადაეკიდონ? დიდი სოფელია გუდაში, რომელიც თითქმის გაადარიბა ერთმა უზარმაზარმა ქვიტკირის შენობის აშენებამ. რა ჭაპანწყვეტა არ გამოსცადა ამ სოფელმა იმ შენობის აგებისათვის და მერმე რისთვის?!

ყოველივე ეს სოფლის ხელმძღვანელთა შეუგნებლობის ბრალია. ხალხის ხელმძღვანელობა დიდი და მძიმე საქმეა. ამისთვის უპირველესად საჭიროა: დაახლოვებით გაცნობა თითონ ხალხის ავ-კარგისა, უანგარობა, გულწრფელობა და მომზადება, და არა ყინიანობა, საკუთარი ანგარიშების მიმდევრობა და გონებრივი სიბნელე. საუბედუროდ, ამ უკანასკნელ თვისებით არიან ხშირად დაჯილდოვებულნი ჩვენებური ძალათ-მაცხოვნენი, რაც დიდად აბრკოლებს სოფლის წინ სვლას.

სოფლელი.

## რაჭა და მისი სამღვდელოება.

ამას წინეთ კერძო წერილში რაჭა მივარდნილ ქვეყნად მოვიხსენიე; როდესაც გაიგეს ეს ჩვენმა თანამოძმეებმა, დიდი საყვედური და უკმაყოფილებით მომმართეს: როგორ შეგვარცხვინე, როგორ მოგვჭერი თავი რაჭველ მღვდლებს. ჩვენი ქვეყნის გაუნათლებლობა ხომ ჩვენი შეურაცხყოფა და გალანძღვა არისო, და მართლაც, ერთის მხრით მათი საყვედური საფუძვლიანი იყო და მეორეს მხრით კი მეტიჩარობა და საქმის უცოდინარობა.

რომ რაჭა დღეს დაქვეითებულია, როგორც განათლების ეგრეთვე ეკონომიურის მხრით, ეს ცხადია ყველასათვის, ვინც მიუდგომელად უყურებს ცხოვრების მიმდინარეობას. რომ რაჭის ასეთ მდგომარეობას გულ-გრილად შეჰყურებს მისივე სამღვდელოება, ესეც ცხადზედ უცხადესია და ამ მხრით მართლაც ღირსია საყვედურისა რაჭის სამღვდელოება. რომ უფრო დავასაბუთოთ ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტი, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ის, თუ რა კეთდებოდა რაჭაში ხალხის სასარგებლოდ კერძო პირთა ინიციატივით და ან რა შედეგი მოჰყვა ამ მოქმედებას. პირველად ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამბროლაურის სამკითხველოს.

რამდენიმე წლის წინად ბლ. მღ. ნიკიფორე კანდელაკის ინიციატივით დაარსდა ამბროლაურში წიგნთ-საცავ-სამკითხველო. წევრებად ჩაეწერენ, როგორც საერო პირნი, აგრეთვე სამღვდელონი. შეგნებული პირების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მადლობა ღმერთს, ჩვენც მივბაძეთ ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებსაო. მამა ნიკიფორეც ბეჯითად ასრულებდა თავის მოვალეობას და ცდილობდა კარგად წასულიყო მის მიერ დაწყებული საქმე, მაგრამ, საუბედუროდ, ამ კეთილს საქმეს დიდი ხნის არსებობა არ ჰქონდა; იგი ჩაქრა ისე, რომ კვალიც აღარსადა სჩანს და არც ის ვიცით, თუ სად წაიღეს ის წიგნები, რომელებიც შემოწირული იყო კერძო პირთა მიერ. რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ ნიკიფორე კანდელაკის გულ-გრილობა და დაუდევრობაა?—არა და არა. რა ქნას ერთმა კაცმა, თუ სხვებიც ხელს არ უწყობენ, არ თანაუგრძნობენ კეთილს საქმეში!! ნიკიფორესაც ასე დაემართა. საქმის დაწყობისას იგი ასრულებდა სხვა-და-სხვა დანამდებობას: იყო ბლაღოჩინად, მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს თავმჯდომარედაც. ყოველივე ეს, რასაკვირველია, შეშურდა მის თანაამხანაგებს, რომლებიც დღესაც მეთაურობენ რაჭაში, და ნაცვლად თანაგრძნობისა, მასხარად აიგდეს. ხმა გაავრცელეს, რომ ნიკიფორეს მიერ დაწყებული საქმე უნიადაგოა და უდროვოა და ყოველს კრებაზედ ჩუმ-ჩუმად სცდილობდნენ ხელი შეეშალათ. ამის მოწამე თვითონ მე ვარ და თქვენ ლიტონის სიტყვით ქვეყნის კეთილის მყოფელნო, დაწყობილი კეთილი საქმეც ჩააქრეთ. ნიკიფორე გააძევეთ რაჭიდგან, მაგრამ ნაცვლად იმისა რა გააკეთეთ, რა სარგებლობა მოიტანეთ, გვიჩვენეთ. ჭეშმარიტად გრცხვენოდესთ და სხვა არაფერი.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. კიდევ მეორე საქმე, რომელიც იმავე კაცთა უკუღმართობით ჩაინგრა და ჩაიფუშა. როდესაც ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებლები არსდებოდა იმერეთში, მაშინდელმა საბჭოს თავმჯდომარემ დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა საჭიროდ სცნო, რომ ერთი ასეთი ტიპის სასწავლებელი რაჭაში დაარსებულიყო. ამისათვის კომისია დაინიშნა გაბრიელ ცაგარეიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა მოევლო რაჭა და ამოერჩია შუა ადგილი ასეთი სკოლისათვის, მაგრამ სანამ საქმეს გაათავებდენ რამდენიმე საჩივარი წასულა მთავრობასთან; ასე რომ ეს კეთილი საქმეც ჩაიშალა და ის ლუკმა, რომელიც რაჭისათვის იყო გამზადებული, რაჭას პირიდან გავარდა.

კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ, რომ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა იმერეთში მობრძანებისათანავე დიდი ყურადღება მიაქცია ადგილობით გარემოებას და აწინდელი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ცირკულიარი გამოსცა. სხვათა შორის მივუთითებ იმ განკარგულებაზე, რომლითაც ყოვლად-სამღვდელო უბრძანებდა ბლაღოჩინებს და მღვდლებს. მაგალითების ჩვენებით და საგულისხმიერო სწავლა-დარიგებით მოსპოთ „ტირილი" და ამით ააცდინეთ ხალხს ის ხარჯი, რომელიც მათ აღარიბებსო. მაგრამ როგორ მიეგებნენ ამ განკარგულებას? ვიტყვი, გულგრილად. და რომ ჰკითხო ზოგიერთ ყმაწვილებს გიპასუხებენ: ყოველივე ასეთი ჩვეულება თავისთავად მოისპობაო და ვითომ და მეცნიერულად სჯიდნენ, ასეთია ბუნების კანონიო, მაგრამ სოციალური კანონები, რომ ასეთ წვრილმან რამეებზედ იყოს დაჰყარებული, მაშინ ხომ მათ „კანონების" ძალა აღარ შერჩებოდათ; კანონები-კი არა, აქ ჩვენი დაუდევრობა და გულგრილობაა. ჩვენ თვითონ არ გვსურს რომ ხელი შეუწყო დაწყებულს კეთილს საქმესა, თორემ ასეთი დახავსებული ჩვეულება ადვილი მოსასპობია, ეს ჩვენ გამოცდილებით ვიცით. რასაკვირველია, უშრომლად და შეუწუხებლად არაფერი არ იქნება, მაგრამ თუ კაცს სურს კეთილის საქმის გაკეთება, ყოველივე შეწუხება უნდა აიტანოს, თორემ ისე საქმე არ გაკეთდება. მარტო ის კი არ არის საჭირო, რომ ცბიერობით და კუდის ქნევით და ღიტინით თვალი აუხილო საზოგადოებას და მით თითით საჩვენებელი გახდე უცნობის თვალში, არამედ ხასიათის სიმტკიცით და სიმართლით აღჭურვილი წინააღუდგეს ყოველივე იმ მოვლენას, რაც უშლის თანამედროვე ცხოვრების წინსვლას. ეხლა მღვდელს მარტო წირვა-ლოცვა და ღვთის მეტყველების ცოდნა-კი არ მოეთხოვება, არამედ სხვაც, დროს შესაფერი, რომელმაც უნდა წასწიოს ერი წარმატებისკენ. ჩვენ დღეს დიდი ხნის ქრისტიანები ვართ, მაგრამ აზრი ქრისტიანებისა ჩვენც მაინც გაუგებარია და ამისათვის თანამედროვე მღვდელი ვალდებულია სწავლა-განათლების საფუძველზე შეაგნებინოს ერს დიდი მოძღვრება ქრისტიანობისა: „ღმერთი და მოყვასი". ჩვენი ცხოვრება ბრძოლაზეა აშენებული და ყოველი წევრი საზოგადოებისა ვალდებულია ებრძოლოს მებრძოლთ იმ იარაღით, რომლითაც გავიმარჯვებთ და ამ აზრით გამსჭვალულმა იმერეთის მღვდელ-მთავარმა უბრძანა სამღდელოებას: ასწავლეთ და აღზარდეთ ერიო, თვითონ დაბრძანდებოდა წიგნთ-საცავებისა და მკითხველთა წრის დასაარსებლად და ღმერთმა ინებოს, რომ რაჭის სამღვდელოებაც დიდის ენერგიით მიჰგებებოდეს ამ საქმეს. კეთილი საქმის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც თვითონ ადგიხარ კეთილ გზას, როდესაც ის ერი, რომელსაც ემსახურები ვერაფერს ვერ ნახავს შენში გარდა სიმართლისა, მიუდგომლობისა და პატიოსნებით აღსავსე ცხოვრებისა.

მღ. სიმ. ჭელიძე.

## მცირე წერილი ქართული სიტყვიერებისა და მწიგნობრობის მოყვარულთა მიმართ.

ოთხი-ხუთი წლის წინად ჩემს ნაცნობ სოფლის ზოგიერთ მასწავლებელ-მწერლებს რვეულები დავურიგე და ვსთხოვე, ანბანის რიგზე, ან როგორც მოეხერხებოდათ, ჩაეწერნათ ყველა ის სოფლური (პროვინციალური) სიტყვები, რომლებიც ან ჩვენს ქართულს ლექსიკონებში არაა, ამ მწერლობაში შემოსულია და მრავალთათვის გასაგები არ არის, ადგილობრივ მკვიდრთ-კი კარგად ესმით მათი მნიშვნელობა, და ისე განემარტათ, როგორც ადგილობრივ ხმარობდნენ. ვსთხოვე აგრეთვე მოეგროვებინათ ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები და სხვ. სამწუხაროდ, ორიოდე კაცის გარდა (ისიც ზღაპრები). არავისგან არ მიმიღია რვეულები. ახლა კვლავ მივმართავ ჩვენის მწიგნობრობისა და სიტყვიერების მოყვარულთ, სოფლის მასწავლებელთ, მღვდელთ, მწერლებს და სხვებს შეგვიგროვონ და მოგვაწოდონ შემდეგი მასალა:

1) სოფლური, ძველებური და ახალი ისეთი სიტყვები, რომლებიც ან ჩვენს ქართულს —ჩუბინაშვილისა და საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონებში არ მოიპოვებიან, ალაგობრივ-კი იხმარება, ან მწერლობაში კანტი-კუნტად შემოსულა და გაუგებარია,—აი, ყველა ასეთი სიტყვები (სახელწოდებანი მცე-

[illegible]

19 თიბვის 1903 წ. იოსებ იმედაშვილი.

## ჩვენებური ამბები

**ფოთი.** 20 ივნისს, შუადღის საათის 11-ზე, [illegible]

**ხ. ჭოვლი** (გორის მაზრა). 15 თიბათვეს [illegible]

16 თიბათვეს [illegible]

ვინმე. ხალხი გაჯიუტდა, თავისას გაიძახოდა და ბოლოს არაქათ გამოლეული დაიშალა კიდეც. ისე რომ მეტეხში „დაბაბ სუქანა“, მამასახლისობა ჯერ-ჯერობით არავის რგებია. ეს შემდეგ ურიადობისთვის გადიდო.

17 თიბათვეს, ახალქალაქის არჩევნებმა-კი სულ სხვა ხასიათი მიიღო. აქ ორ ჯგუფად გაიყო ხალხი, ერთში მოექცნენ სომხები, მეორეში ქართველები. სომხები შეადგენენ უმცირესობას, მარტო ახალქალაქის მცხოვრებლებს და მოინდომეს ცალკე ახალქალაქისათვის მამასახლისი ვაჭარი გადუსტოვი. ქართველები შეადგენენ უმრავლესობას, სოფელ ახალქალაქის გარეშემო სოფლების მცხოვრებლებს და მოინდომეს ერთიანი საზოგადოება ახალქალაქთან ერთად და დაასახელეს სოფელ ერთაწმინდაში მცხოვრები ვინმე გლეხი ილიკო „ნახათრალი“. ქართველთა უმრავლესობამ თავისი გაიტანა და ამორჩეულ იქმნა ილიკო „ნახათრალი“. არცერთი, ზემოთ დასახელებული საზოგადოება არ არის თანახმა არჩევნებსა და საჩივარს აპირობენ, სადაც ჯერ არს.

საწყალი სოფლის სამკითხველო! ძლივას ფეხი აიდგა, მაგრამ მალე ხელიდამ ჭოჭონა გამოაცალეს და ჩვილი ბადანა ძირს დაეცა… დაეცა, დაუფრჩენია პირი, თვალებიდამ დაბა-დუბით ცრემლი სდის ცხვირიდამ ლორწო და პატრონი-კი არავინა ჩნდება, რომ თვალ-ცხვირი მოსწმინდოს და ჭოჭონა ისევ ხელში მისცეს. იქნება ფეხის სახსრები გაუმაგრდეს როგორმე და ტატაობის მაგიერ, უჭოჭინოთ მკვიდრი სიარული დაიწყოს. წევრებმა ქვა-გუნდა მოაყარეს სამკითხველოს კარებს და თავიანთი ბახალა ბუს მიუგდეს, დიდი თავი გაქვს და იტირეთ. შარშან ცალკე საკუთარი სახლი უნდა აეშენებინათ. წევრებზედ ფულიც გაიწერა. ერთმა მათგანმა სამკითხველოს შენობისათვის ადგილიც შესწირა, „კომისიაც“ დაინიშნა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ყველა ჩვენებური საქმე „კომისიებათ“ იყოფა. და ჩვენი სოფლის სამკითხველოც ხომ ქართველური რამეა!

შ. ჯ.

## რუსეთი

პერმის გუბერნიის სოფ. ოსტროჟის სასოფლო სამმართველოსთან ეს რამდენიმე წელიწადია ბიბლიოთეკა არსებობს. რომელშიაც სხვათა შორის სამინისტროს კატალოგში ნაჩვენები და ნება დართული ლ. ნ. ტოლსტოის ბელეტრისტიული ნაწერებიც ინახება. ამ ბიბლიოთეკის გამგე სოფლის მწერალია თურმე და არ აძლევს მსურველთ გლეხებს ტოლსტოის ნაწერებს საკითხავად: აკრძალულია და თქვენთვის ძნელი მოსანელებელიაო“, რიხიანად ეუბნება იგი მთხოვნელთ.

— რკინის გზების მოძრაობის უფროსთა კრებაზე პეტერბურგში გადაუწყვეტიათ საცდელად მიიღონ ხოლმე ქალები სადგურების უფროსთა, მათ თანაშემწეთა და კასსირთა თანამდებობაზე, როგორც ეს ზოგიერთ რკინის გზებზე უკვე შემოღებულია. ქალებს მიიღებენ არა უმცირესს 25 წლისა, რომელთაც საშუალო სკოლების კურსი აქვთ დასრულებული. ამიერ კავკასიის რკინის გზათა გამგეობაში დღეს 143 ქალი მსახურობს და 300—600 მანეთამდის ჯამაგირი ეძლევათ წელიწადში, ამ რიცხვში მხოლოდ ერთი ქალია, რომელსაც 840 მან. ჯამაგირი აქვს.

— ქ. კოზლოვის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს ერთ ქალს, რომელიც სალოცავად დადიოდა თურმე სხვა-და-სხვა ადგილებში და ბოლო დროს იოანე კრონშტადტელთანაც ყოფილა; უკვე ორი წელიწადია, რაც ეს ქალი აღთქმისამებრ ტანზე რკინის ჯაჭვს ატარებს, რომელიც მის სხეულში შესულა, და იმდენად შეჰხორცებია, რომ სრულებით არ ჩანდა. ოპერაცია ძნელი იყო და როგორც იქნა გაუხთავისუფლებიათ ეს საცოდავი ცრუ მორწმუნე ქალი მძიმე სატანჯველისაგან.

— განზრახვა აქვთ სანოტარიუსო წესდება შესცვალონ. პეტერბურგის ნოტარიუსები ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან ერთად და თათბირობენ იმაზე, რუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი ქონებრივი მდგომარეობა.

— რკინის გზის ექიმთა მე IV კრებაზე გზათა სამინისტრო შემდეგ მოხსენებას წარადგენს განსახილველად, როგორ უნდა მოეწყოს სამგზავრო ვაგონები სამივე კლასისა; უთქანცულობა რკინის გზის მოსამსახურეთა, სამთო სანატორიების აშენება ამიერ კავკასიის რკინის გზაზე; სიმთვრალის მოსპობა რკინის გზის მოსამსახურეთა შორის; რევმატიზმი, როგორც პროფესიონალური ავადმყოფობა რკინის გზებზე მოსამსახურეთა.

— გზათა სამინისტრომ განიხილა მგზავრთა მიერ საჩივრის წიგნებში ჩაწერილი საჩივრები და უკმაყოფილებანი და ცდილობს ამ საქმის უკეთესათ მოწყობას. სამინისტრო რკინის გზის მართებლობათ ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რათა ბუფეტებში სისუფთავე და წესიერება დაცულ იქნას, მოსამსახურეები მატარებელში უფრო ზრდილობიანად მოეპყრან მგზავრებს და სხ..

— 2 ივნისს ოდესის სამხედრო ოლქის სასამართლომ გაარჩია ერთი საყურადღებო საქმე, ბრალდებულად პორუჩიკი პალნიკოვი იყო, რომელსაც გაულახავს სალდათი ივანოვი, როცა უკანასკნელი სახელმწიფო სამსახურს ასრულებდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო პალნიკოვი და მიუსაჯა თვე-ნახევარით დაპატიმრება.

— ახხაბადში „Закаспійское Обозрѣніе“-ს რედაქტორ-გამომცემლის ფედოროვის საქმის გარჩევის დროს, რომელსაც გაზეთში ცილის-წამება ბრალდებოდა, ხუთმა მოწმემ ფიცზედ უარი განაცხადა. ჩვენ უფიცოდაც სიმართლეს ვიტყვითო. სასამართლოც იძულებული შეიქმნა დასთანხმებოდა მოწმეებს.

— გაზ. „Новости“-ს რედაქციას ხელის-მოწერა გაუმართავს ქ. კიშინევში აწიოკებულ ებრაელების სასარგებლოდ. დღემდე რედაქციას შემოსვლია ამ მიზნით სულ 36,465 მან. 43 კ.

— ხარკოვის უნივერსიტეტთან არსებობს დედათა განათლების კურსები; მსმენელ ქალთა რიცხვი ამ კურსებზედ აღემატება 350-ს. რადგანაც კურსებს ასეთი რიცხვი მიაწყდა მსმენელებისა, განზრახვა აქვთ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრან ხარკოვში სამუდამო დედათა უმაღლეს კურსების შესახებ.

## უცხოეთი

**სერბია.** მაისის 29-ს, საშინელ სისხლის ღვრის შესახებ, მხოლოდ ეხლა მსჯელობენ დამშვიდებით და მიუდგომლად, ეჭვი არაა, რომ ეს სისხლის ღვრა შედეგი იყო იმ დრტვინვისა ე შფოთისა, რომელმაც ჯერ სამხედრო წრეებში იჩინა თავი და შემდეგ მთელს ქვეყანას მოედო. აღშფოთება გამოიწვია ცბიერის, აწ განსვენებულ დედოფლის უსამზღვრო პატივმოყვარეობამ, რომელსაც ჰსურდა სერბიაში ახალი დინასტიის გამეფება. თუმცა უბრალო ხმებიც-კი ამ დინასტიის შესახებ აღელვებდა სერბიის ხალხსა, რადგან უკიდურეს შეურაცხყოფად მიაჩნდათ თავის სამშობლოსათვის ამ ახალ დინისტიის გამეფება.

დრაგა დედოფლისთვის ძნელი არ იყო მეფის დამორჩილება და თავის სურვილისამებრ მოქცევა, რადგან მეფე სრულს მის გავლენის ქვეშ იყო. საყურადღებოა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ სწავლა-განათლების ფურცლები (?) დედოფლის სრულს განკარგულებაში იყო. ყოველ თვის პირველ რიცხვებში კარის ქონებათა გამგე დრაგა დედოფალს აძლევდა 100.000 ფრანკს, რომელიც სრულს მის განკარგულებაში იყო. მეფე უნდა შეჰვედრებოდა დედოფალს, თუ ფული დასჭირდებოდა ხოლმე რაიმე საჭიროებისათვის. ხშირად მთელ კვირაობით მეფეს ჯიბეში მხოლოდ 2—3 ფრანკი ეგდო. 1,000 ფრანკზედ მეტი ერთხანად, თითქმის არასოდეს არა ჰქონია.

ამ რამდენისამე ხნის წინად ევროპის ერთ დიდ სახელმწიფოს ელჩი ბელგრადიდგან თავის სამშობლოში გაემგზავრა, რომ თავის მთავრობისათვის სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი მიეცა. მეფემ უბრძანა მდივანს, ელჩის მეუღლისათვის თაიგული შეუკვეთეო, თუმცა ამაზედ დედოფლის ნებართვა და თანხმობა არა ჰქონდა. მდივანმა შეასრულა მეფის მინდობილობა და რამდენისამე დღის შემდეგ დედოფალს ანგარიში წარუდგინა, მაგრამ დრაგამ ანგარიშს არც-კი დახედა.

— როგორ გაჰბედა მეფემ ჩემს ნება-დაურთველად თაიგულის შეკვეთა?! შეჰყვირა გაბრაზებულმა დედოფალმა.—თქვენ შეგიკვეთნიათ უჩემოთ და ფულიც თქვენ გადიხადეთო.

მდივანს მეტი რა გზა ჰქონდა; საბრალოს თავის ჯიბიდგან უნდა გადაეხადნა თაიგულის ფასი!

რასაკვირველია ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამგვარ პირობებში დედოფალი მიაღწევდა ყველაფერს, რასაც-კი მოისურვებდა. ასე დამონებული რომ არ ჰყოლოდა მეფე დრაგას, როგორ შეიძლებდა, რომ ზეინკლის ყოფილი შეგირდები ყოველ წესისა და ჩვეულების წინააღმდეგ აფიცრებად იყვნენ დანიშნულნი (იგულისხმეთ დედოფლის ძმები); შემდეგ ხომ ერთ-ერთს ამ ზეინკლის შეგირდს ტახტის მემკვიდრედაც უპირებდა გამოცხადებას.

იყო სხვა-და-სხვა მიზეზიც, რომელნიც აღშფოთებას იწვევდა სერბიაში. ნაძალადევი სახელმწიფო ცვლილება, მეფე ალექსანდრეს მიერ მოხდენილი, საზოგადო მრისხანებასა და დრტვინვას გამოიწვევდა მომავალში.

ამ უკმაყოფილებას მხარს უჭერდნენ აგრეთვე გარეშე პოლიტიკაშიაც—მაკედონიაში და ძველს სერბიაში.

ყოველივე ეს, აღვიძებდა მღელვარების ცეცხლს, რამაც თავი იჩინა კიდეც 29 მაისს, სისხლის ღვრის ღამეს.

კარგა ხნის წინად სისხლის ღვრამდე მეფე-დედოფალს შეატყობინეს,—შეთქმულობა მზადდებაო. მაგრამ არავითარი მნიშვნელობა არ მისცეს ამ ხმებს, რადგან ალექსანდრე მეფეს დრაგასთან დაქორწინების შემდეგ თითქმის ყოველ დღე მისდიოდა უსახელო წერილები ამგვარ მუქარითა. ბოლო დროს-კი მეფე წინათ-გრძნობამ შეიპყრო.

წასულ მარტში ქუჩებზე მომხდარ დემონსტრაციების შემდეგ სასახლე შიშმა აიტანა.

მეფე-დედოფალმა უმთავრესი ყურადღება მიაქციეს აფიცრების ყოფა-ქცევას. ბევრი მათგანი დააპატიმრეს დემონსტრატებთან ერთად, მაგრამ მოღალატეს მხედრობაში-კი არ ეძებდა მეფე, არამედ მის მოძულე რადიკალთა წრეებში.

ამბობენ, დემონსტრაციის მეორე ღამეს, ე. ი. 23 მარტს, მეფემ შეჰყარა სასახლეში მინისტრთა საბჭო და გადაჭრით მოსთხოვა მთავრობას დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინა რადიკალთა დასის მეთაურნი: ნიკოლ პაშიჩი, სტოიან პროტიჩიდა აზა სტოიანოვიჩი და სამართალში მიეცი, როგორც სახელმწიფოს მოღალატენი.

მეფეს სურდა აგრეთვე წამოეყენებინა მოსყიდულ მოწმეთა ჩვენება, რაც დიდი ხანია სერბიაში შემოიღეს, და ამ მეტად არა-პატრიოსნურ გზით დაეღუპა მოწინააღმდეგე პოლიტიკოსნი.

მინისტრ-პრეზიდენტმა, გენერალ ცინცარ მარკოვიჩმა ცივი უარი გამოუცხადა მეფეს ამ მოთხოვნის შესრულების შესახებ.

მას შემდეგ მიში დღითი-დღე მატულობდა და მეფე-დედოფალთ თავის დაცვის შესახებაც დაიწყეს ზრუნვა; მაგრამ დრაგამ თითქო ჯიბრზედ, გადასწყვიტა უეჭველად გამოეცხადებინა თავისი ძმა ნიკოდიმი ტახტის მემკვიდრედ.

დაარწმუნა მეფე, რომ ამ აზრით პროპაგანდა გაეწია ახალგაზდა აფიცერთათვის, რისთვისაც უკანასკნელთ სამსახურში აწინაურებდა.

ამან, რასაკვირველია, უფრო ძლიერ გააბოროტა უმაღლესი სამხედრო წრეები.

უკმაყოფილება საათობით იზრდებოდა და მოძრაობა თან-და-თან საგრძნობელი ხდებოდა.

ორი კვირის წინად გარეშე საქმეთა სამინისტროს პრესსის ბიუროს დირექტორმა, ალექსანდრე პეტროვიჩმა, მიჰმართა ერთ მეფესთან დაახლოებულს კაცსა და სთხოვა დაერწმუნებინა მეფე, რომ გადაჭრით უარეყო ხმები ნიკოდიმ ლუნიევიცას სერბიის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებისა.

მეფე ირწმუნებოდა,—ნიკოდიმს ტახტის შესაფერ მემკვიდრედ არა ვსთვლიო, და არც ვფიქრობ მის მემკვიდრედ გამოცხადებასაო, მაგრამ მაინც უარი განაცხადა, ბრძანება გაეცა ამ ხმების გასაქარწყლებლად.

მაშინ პეტროვიჩმა რის ვაი-ვაგლახით გამოითხოვა დარბაზობა. მეფემ იგი ძლიერ გულ-ცივად მიიღო.

— მაშ ვინ დავნიშნო ტახტის მემკვიდრედ?—თითქმის შეჰყვირა გაჯავრებულმა მეფემ პეტროვიჩს.

პეტროვიჩმა უპასუხა:—მართალია რჩევის მოსაცემად არა ვერ მოწვეული, მაგრამ მაინც ნებას ვაძლევ ჩემს თავსა თქვენის მახლობელ კაცის პირით მოგახსენოთ ჩემი აზრი ამის შესახებაო.

პეტროვიჩმა იმ დღესვე შეუთვალა მეფეს თავისი აზრი.

— უთხარით, გეთაყვა მეფეს, რომ ერთი გზა-ღა დარჩენია, რომელსაც შეუძლია მისი ხსნა: დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს ტახტის მემკვიდრედ პეტრე ყარა გეორგიევიჩის შვილი.

ამ პასუხმა დიდად ააღელვა გაბოროტებული მეფე და კარის-კაცებს ბრძანება მისცა,—შესწყვიტეთ ყოველივე კავშირი და ურთიერთობა ალექსანდრე პეტროვიჩთანაო.

## ნარკვევი

რუსეთის ცნობილ მწერალს დოროშევიჩს ჰქონია სახელგანთქმული ჯალათის კომლევის მათრახი, რომელიც მან თავად გამოართვა ჯალათს და შემდეგი სტრიქონები უძღვნა ამ საინკვიზიციო იარაღს.

შენ იყავი ხელოვნური იარაღი სპეციალისტ ჯალათის ხელში. გამოცდილ, მკვეთრ თვალსაც არ შეეძლო მიმხვდარიყო, რა ნაირად სცემდა ჯალათი ტუსაღს—მწარედ თუ მსუბუქად როცა თავზარ დამცემმა პატრონმა მაჩვენა თავისი ძველი ეს მათრახი, ვკითხე:

— რამდენი დარტყმით შეგიძლია მოკლა კაცი მეთქი?

— ორი დარტყმითაო—მიპასუხა.

მერე იფიქრა და თავ-მომწონეთ დაუმატა:

— ერთითაც შეიძლება, ხერხემალი შუაზე გაუპობ.

მან აავარჯიშა თავისი იარაღი, საზარელი კონცერტი გამართა მით ჩემ თვალ წინ.

მე სქელი უბის წიგნი დამადებინა სკამზე, საზარლად დაჰკრა თავისი მათრახი და შუაზე გაპო.

— ახლა ხელი დადევითო, მითხრა. მოისმა ისევ საზარელი ხმა, ჩემ თვალ-წინ გაიელვა მათრახმა და ვიგრძენ, თითქო ვიღაც ფრთხილად მსუბუქად შეეხო ჩემ ხელზე ჩაპოცმულ ხელთათმანებს.

კომლევი იღიმებოდა და თავ-მომწონედ მიყურებდა.

—— სოცარი ხელობაა, ვერავინ მიხვდება რა ოინებს სჩადიხარ.

— მართალია, ვერავინ მიხვდება. ამ საქმის ოსტატაშები გვქვიან. ფუტურობებზე თვით გატენილ ტომრებზე ვსწავლობთ ლუკმა პურს ამით ვშოულობთ.

— ამბობენ, მათრახებით დასჯის გაუქმება უნდათო, უთხარი მე ჯალათს. მინდოდა ამ საშიშარი კაცის აზრი შემეტყო ამის შესახებ.

ჯალათმა მაჯაზედ შემომხედა.

— მართალია?

— მართალი.

ჯალათმა პირჯვარი გადაიწერა და მითხრა:—

— მადლობა ღმერთს!

ეს სიტყვები სთქვა არა ლევ-ტოლსტოიმ, არამედ ჯალათმა კომლევმა. ჯალათსაც გაუჭირდა ბოლოს თავისი ხელობა.

—

ქ. რიგის ოლქის სასამართლოში ერთი საინტერესო საქმე გაურჩევიათ. სისხლის სამართალში მიცემულნი იყვნენ პასტორი ტრეი და ერთი ქალი ვილმა დანნენბერგი, რომელთაც ბრალად ედებოდათ საიდუმლოდ, ნება-დაურთველად სკოლის გამართვა საქმიდან სჩანს, რომ პასტორ ტრეის გაუმართავს ეგრედ წოდებული „კომპლექტი“, თავის მეზობლების ბავშვები მოუწვევია და ასწავლიდა მათ თავის ბავშვებთან ერთად. სულ 9 ბავში ყოფილა და მათ სწავლებაში პასტორს ეხმარებოდა ორი ქალი—აკენანი და დანნენბერგი. უკანასკნელი ასწავლიდა უცხო ენებს და დიპლომი-კი არ ჰქონდა. ბრალდებულთა დამცველი ამტკიცებდა, რომ საერთო სწავლების შესახებ წესები მხოლოდ პოლონეთისა და დასავლეთ მხარისათვის არიან გამოცემულნიო, იმპერიის სხვა ადგილებში-კი საერთო სწავლება არავითარი წესებით არ არის შეზღუდულიო, და გარდა ამისა, ყველა ქალაქებში ბევრია შინაური მასწავლებელი ქალები, ფრანგები და გერმანელები, რომელთაც დიპლომი არა აქვთო. ოლქის სასამართლოს დადგენილებით პასტორის ტრეის სკოლა საიდუმლო სკოლად არ იქმნა ცნობილი და სასამართლომ მიუსაჯა ტრეის უდიპლომოდ სწავლებისათვის ჯარიმა—3 მან. დანნენბერგის ქალსკი—1 მ.

## წერილი

### რედაქციის მიმართ.

I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა უძღვნათ ალექსანდრე ბეჟანიშვილს, რომელმაც შემოსწირა სამკითხველოს 13 ქართული წიგნი: 1, ქაჯანა ლომაურისა. 2) 2.) ბარტექ ძლევა მოსილი სენკევიჩისა. 3.) ბუნების ცოდნა პოლ-ბერისა. 4.) სამი ცეტქი მღვიმლისა 5.) ალ. ი. ლომაურისა. 6.) ლურჯლიანთ ქორწილი ხუნუაშვილისა. 7.) მართამი შმიტისა 8.) ერეკლე მეფე და ინგილო ქალი გოგებაშვილისა. 9. იავნანამ რა ჰქნა? მისივე. 10.) ყოველი მხრიდამ ლომაურისა. 11.) ქნარი ლექსთა კრება. 12.) თავადაზნაურნი ქართველნი გოგებაშვილისა. და 13.) ასპინძის ომი მისივე სულ 13 ცალი.

სოფელ ხოვლის სკოლის მასწავლებელი შაქრო ჯავახიშვილი.

II

ნება მიბოძეთ პატივსცემის გაზეთის საშუალებითა უღრმესი მადლობა განვუცხადო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას და ღარიბ მოწაფეთათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტს ყურადღებისა და ნივთიერად დახმარებისათვის, რომელიც უკლებლივ მქონდა მათგან ამ სამი წლის განმავლობაში მოსკოვის საიმპერატორო კონსერვატორიის კურსის დასრულებამდე. ვეცდები მათი ამაგი არ დავივიწყო და ყოველ ღონის ძიებას ვიხმარ, სამშობლოს მუსიკას, რაც ჩემს ხელთ იქნება და რაც შემეძლება, სამსახური გავუწიო.

კურს დასრულებული მოსკოვის საიმპერატორო კონსერვატორიაში.

ზაქარია ფალიაშვილი.

### „ივერიის“ ფოსტა

**სარიყამიში. დათიკო ელპიტისშვილს.** თქვენი „მგზნარის ფიქრები“ არ დაიბეჭდება.

**დ. სურამი. გ. წუთისოფლელს.** თქვენი მოთხრობა „კოჭლი ვანო“ არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 თიბათვე

**პეტერბურგი.** იმ უსახელო ფურცლების გამო, რომელიც საზოგადოებაში გაავრცელა მართლ-მადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლმა კავშირმა, პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონიმ დღეს „ნოვოე ვრემია“-ში დაჰბეჭდა განმარტება წმიდა სერაფიმე საროველის ნაწილთა შესახებ.—21 ივნისს გადიხადა თავისი

დღესასწაული ლეიბ-გვარდიის კარასირის რაზმმა.

**ტიანძინი.** როგორც იაპონიის აქაურმა პოლიტიკურმა აგენტმა განაცხადა, სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, ვითომ იაპონიის საზღვარ-გარედ მყოფი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ჯარში იქმნენ გაწვეულნი.

**ბელგრადი.** მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ნოვაკოვიჩი დამტკიცდა სერბიის ელჩად პეტერბურგში.

**პორტ-არტური.** როგორც იაპონიის პრესსა იუწყება, კორეის სამეფო სახლში საქმე გამწვავდება დედოფლის არჩევის გამო, რომლის წინააღმდეგაც მემკვიდრეა.

**დონის-როსტოვი.** კავკავის რკინის გზის გამგეობას განზრახვა აქვს შვიდი პატარა მტო გაიყვანოს. პირველად გაიყვანენ პრასკოვეისს, ეგორლიკ-დვინისა და ხუმარინის მტოებს.

**ვლადიმირი.** დიდი ცეცხლი გაჩნდა კირჟაჩში. დაიწვა არსენტიევისა და სხვათა აბრეშუმის ქარხნები, ფოსტამტი და 50 სახლზედ მეტი.

**პარიზი.** სენატმა მიიღო წინადადება სამონელსა და ხორცზე ბაჟის გადიდების შესახებ.

**სტამბოლი.** პორტისა და ილდიზ-კიოსკის ცოდნე წრეები, უკმაყოფილონი ბრალდებებითა და საყვედურებით. ამტკიცებენ, რომ პორტას მეტი საბუთი აქვს უსაყვედუროს ბულგარიასაო. ამასთან უმატებენ, რომ ყველაფერი გამოირკვა და საშიშო არა მოხდენა-რა. ამასვე ცდილობენ რუსეთი და ავსტრიაო.

22 ივნისი.

**სანტ-იაგო.** სანიტარულმა საბჭომ დაამტკიცა, რომ ვალპარაისასა და ტალკახუონოში შავი ჭირია.

**რომი.** ღამე პაპს გული შეუწუხდა; დღეს ვითქო უკეთ არის, მაგრამ საჭიროა ისევ ლოგინში დარჩეს.

**ვენა.** კერბერი იმპერატორმა მიიღო დიდის ხნის აუდიენციაზე. იმედი აქვთ, რომ კრიზისი მალე გადასწყდება.

**პორტ-არტური.** სამხედრო მინისტრმა დაწვრილებით დაათვალიერა სანაპიროების თავდასაცველი სისტემა, დაიარა ბანაკი და ინახულა ესკადრა.

**ბელგრადი.** იპეკიდანა და დიაკოვოდან მოსულ ცნობების თანხმად, ვითომც ხილმიფაშამ მოახერხა შეადგინოს სასამართლო სერბების თანაბარ მონაწილეობით.—ამბობენ ვითომც სერბებს იღებენ სამსახურში ჟანდარმებად.

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს აზრი რამდენისამე ცვლილების შემოსაღებად აწ არსებულ კანონში, რომელიც სახელმწიფოსა ან საზოგადო საჭიროებისათვის ადგილის მიზომვის საქმეს შეეხება.

**პეტერბურგის ბირჟა,** 20 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . | 37,60 |
| პარიჟის დისკონტი . . . . . | 5 6½ % |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 98⅝ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | 100¾ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის | 95⅛ მყიდ |
| 5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . . | 436 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . . | 337 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 286 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9500 წვ. გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | — |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № $74/_{76}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 2გ წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანა-დასწრებით, 28 ამა ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ერთის კიოსკისა, რომელიც იმყოფება პოლიციის მეხუთე ნაწილში, პუშკინის ქუჩაზედ.

მსურველთ შეუძლიანთ პირობები შეიტყონ მმართველობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, მოვალეა ვაჭრობის დღეს წარმოადგინოს 50 მ. თხოვნა შეიძლება დაბეჭდილი კონვერტებითაც წარმოადგინონ ვაჭრობის დღემდე.

(2—6—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი . . . . . . . | | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით . . | | 6 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა). . . | | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა . . . . | | 5 ,, |
| **ვაჟრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა . . . . . | | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე** | ძველებური ამბავი | |
| **როსტომ ერისთავი** | აკაკისა . . . . . | 5 ,, |
| **აბრამის და იობის** ლექსი . . . . . . | | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) . . . . . . | | 5 ,, |
| **ორი ძოსატყუილა** | | |
| **ბიჭია მენახირე** | ხალხური ზღაპარი. | 10 ,, |
| **მეფე და სკვინჩა** | | |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსენდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აპაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгiевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,— იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—5)

იხყიდება იაფად

## როიალი

არტილერიის ქუჩა № 5 ეზოში, ზემო სართულში.

ადრესი: „ჯეჯილის“ რედაქციაში.

(5—6—4)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

## „ოდოზრინი“ მ. ვ. ლეზედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—13)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кад. детскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцiю грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

## სამკერვალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

**აქვე მიიღება შესაკერად**

## კაბა-ანაფორა

**და სხვა სასულიერო სამოსელი.**

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

## ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები

## „სარზეიმო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „**პარკი**“ **ფიჭვისა** და **მუხისა,** პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

**სურამში:** კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

**ტფილისში:** „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—12).

## საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვსკის ამხანაგობის** ოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტ ფ ი ლ ი ს შ ი

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—5)

საააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

## ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

**ტელეფონი № 741.**

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—36)